ᲛᲠᲝᲚᲔᲢᲐᲠᲔᲑᲝ ᲧᲕᲔᲚᲐ ᲥᲕᲔᲧᲜᲘᲡ, ᲨᲔᲔᲠᲗᲓᲘᲗ!

# კომუნისტი

ᲡᲐᲙ. Კ. Პ. (ᲑᲚ) ᲪᲔᲜᲢᲠᲐᲚᲣᲠᲘ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲢᲘᲡ, ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘᲡ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲢᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲡᲠ ᲛᲨᲠᲝᲛᲔᲚᲗᲐ ᲓᲔᲞᲣᲢᲐᲢᲔᲑᲘᲡ ᲡᲐᲑᲭᲝᲔᲑᲘᲡ ᲝᲠᲒᲐᲜᲝ

Комунисти, ОРГАН ЦЕНТРАЛЬНОГО и ТБИЛИССКОГО КОМИТЕТОВ КП (б) ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

ᲝᲠᲨᲐᲑᲐᲗᲘ
8 ᲐᲞᲠᲘᲚᲘ
1940 Წ.
№ 81 (5782)
ᲤᲐᲡᲘ 10 ᲙᲐᲞ.

## ᲓᲦᲔᲡ ᲒᲐᲖᲔᲗᲨᲘ:

ᲪᲕᲚᲘᲚᲔᲑᲔᲑᲘ ᲡᲐᲡᲝᲤᲚᲝ-ᲡᲐᲛᲔᲣᲠᲜᲔᲝ ᲞᲠᲝᲓᲣᲥᲢᲗᲐ ᲓᲐᲛᲖᲐᲓᲔᲑᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲨᲔᲡᲧᲘᲓᲕᲘᲡ ᲞᲝᲚᲘᲢᲘᲙᲐᲨᲘ. ᲡᲐᲙ. Კ. Პ. (ᲑᲚ) ᲪᲔᲜᲢᲠᲐᲚᲣᲠᲘ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲢᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲡᲡᲠ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ ᲡᲐᲮᲐᲚᲮᲝ ᲙᲝᲛᲘᲡᲐᲠᲗᲐ ᲡᲐᲑᲭᲝᲡ ᲓᲐᲓᲒᲔᲜᲘᲚᲔᲑᲐ (1-ᲚᲘ ᲒᲒ.).

**ᲡᲡᲠ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ 1-ᲚᲘ ᲛᲝᲬᲕᲔᲕᲘᲡ ᲣᲛᲐᲦᲚᲔᲡᲘ ᲡᲐᲑᲭᲝᲡ ᲛᲔᲔᲥᲕᲡᲔ ᲡᲔᲡᲘᲐ.** ᲙᲐᲜᲝᲜᲔᲑᲘ, ᲛᲘᲦᲔᲑᲣᲚᲘ ᲡᲡᲠ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ ᲣᲛᲐᲦᲚᲔᲡᲘ ᲡᲐᲑᲭᲝᲡ ᲛᲘᲔᲠ (1-ᲚᲘ ᲓᲐ ᲛᲔ-2 ᲒᲒ.).

ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ ᲒᲛᲘᲠᲘ ᲐᲚᲔᲥᲡᲘ ᲘᲐᲒᲝᲠᲘᲡ-ᲫᲔ ᲝᲡᲢᲐᲔᲕᲘ (ᲛᲔ-2 ᲒᲒ.).

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲝᲤᲚᲘᲡ ᲛᲔᲣᲠᲜᲔᲝᲑᲘᲡ ᲛᲝᲬᲘᲜᲐᲕᲔ ᲐᲓᲐᲛᲘᲐᲜᲔᲑᲘᲡ ᲓᲐᲯᲘᲚᲓᲝᲔᲑᲐ ᲕᲔᲠᲪᲮᲚᲘᲡ ᲛᲔᲓᲐᲚᲔᲑᲘᲗ (ᲛᲔ-2 ᲒᲒ.).

**ᲣᲪᲮᲝᲗᲔᲗᲨᲘ**

ᲡᲡᲠ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲡᲐ ᲓᲐ ᲘᲠᲐᲜᲡ ᲨᲝᲠᲘᲡ ᲓᲐᲛᲝᲙᲘᲓᲔᲑᲣᲚᲔᲑᲘᲡ ᲕᲐᲭᲠᲝᲑᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲖᲦᲕᲐᲡᲜᲝᲑᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ ᲮᲔᲚᲨᲔᲙᲠᲣᲚᲔᲑᲘᲡ ᲠᲐᲢᲘᲤᲘᲪᲘᲠᲔᲑᲐ (ᲛᲔ-2 ᲒᲒ.).

ᲠᲔᲘᲜᲝᲡ ᲛᲗᲐᲕᲠᲝᲑᲘᲡ ᲛᲓᲒᲝᲛᲐᲠᲔᲝᲑᲐ (ᲛᲔ-2 ᲒᲒᲔᲠᲓᲘ).

ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲡᲢᲔᲑᲘᲡ ᲓᲔᲕᲜᲐ ᲡᲐᲤᲠᲐᲜᲒᲔᲗᲨᲘ (ᲛᲔ-2 ᲒᲒ.).

# ᲪᲕᲚᲘᲚᲔᲑᲔᲑᲘ ᲡᲐᲡᲝᲤᲚᲝ-ᲡᲐᲛᲔᲣᲠᲜᲔᲝ ᲞᲠᲝᲓᲣᲥᲢᲗᲐ ᲓᲐᲛᲖᲐᲓᲔᲑᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲨᲔᲡᲧᲘᲓᲕᲘᲡ ᲞᲝᲚᲘᲢᲘᲙᲐᲨᲘ

## საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს დადგენილება

საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტი და სსრ კავშირის სახკომსაბჭო აღნიშნავენ, რომ სასოფლო-სამეურნეო პროდუქტთა დამზადებისა და შესყიდვის არსებული წესი მოძველებულია, ხელს უშლის კოლმეურნეობათა საზოგადოებრივი მეურნეობის შემდგომ ზრდასა და განმტკიცებას.

სსრ კავშირის სახკომსაბჭოს და საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის 1939 წლის 8 ივლისის დადგენილებით „კოლმეურნეობებში საზოგადოებრივი მეცხოველეობის განვითარების ღონისძიებათა შესახებ“ და 1940 წლის 30 იანვრის დადგენილებით „სახელმწიფოსათვის მატყლის სავალდებულო ჩაბარების შესახებ“ ლიკვიდირებულია სახელმწიფოსათვის კოლმეურნეობათა მიერ ხორცისა და მატყლის სავალდებულო ჩაბარების სისტემაში არსებული უდიდესი ნაკლოვანებანი, რომლებიც იმით გამოიხატებოდა, რომ მოწინავე კოლმეურნეობანი არახელსაყრელ მდგომარეობაში ექცეოდნენ, ისპობოდა მათი დაინტერესებულობა საზოგადოებრივი მეცხოველეობის ზრდით და, პირიქით, შეღავათიან მდგომარეობაში ხვდებოდნენ ჩამორჩენილი კოლმეურნეობანი, რომლებსაც მეცხოველეობის ფერმები არა აქვთ ანდა რომელნიც არ ამრავლებენ პირუტყვის სულადობას ფერმებში. აღნიშნულ ნაკლოვანებებს კვლავ აქვთ ადგილი კოლმეურნეობათა მიერ სახელმწიფოსათვის რძის სავალდებულო ჩაბარებაში.

დამზადებათა ამ სისტემის ნაკლი იმაში მდგომარეობს, რომ კოლმეურნეობათა მიერ ხორცის, მატყლისა და რძის სავალდებულო ჩაბარება წესდება კოლმეურნეობათა საზოგადოებრივი პირუტყვის სულადობის მიხედვით. ეს იმას იწვევს, რომ კოლმეურნეობანი, რომლებსაც განვითარებული საზოგადოებრივი ჯოგი ჰყავთ და რომელნიც მას წლითი-წლობით ამრავლებენ, სახელმწიფოსათვის სავალდებულო ჩაბარების წესით მას სულ უფროდაუფრო მეტი რაოდენობით უხდა ჩაბარებდნენ ხორცს, რძესა და მატყლს მაშინ, როცა კოლმეურნეობანი, რომლებსაც მეცხოველეობის სუსტად განვითარებული ფერმები აქვთ, სახელმწიფოსათვის სავალდებულო ჩაბარების წესით მას ცოტა პროდუქტებს ჩაბარებენ, ხოლო კოლმეურნეობანი, რომლებსაც მეცხოველეობის ფერმები სულაც არ მოეპოვებათ და არა სურთ მათი შექმნა, შეღავათიან მდგომარეობაში იმყოფებიან, რადგან სახელმწიფოსათვის სავალდებულო ჩაბარების წესით მას მეცხოველეობის პროდუქტებს არ აბარებენ.

კოლმეურნეობათა მიერ ხორცის, მატყლისა და რძის ჩაბარების ჰექტარობრივ გამოანგარიშებაზე გადასვლა არა მარტო უზრუნველჰყოფს იმას, რომ ლიკვიდირებულ იქნას დამზადებათა სისტემაში არსებული ეს ნაკლოვანებანი, არამედ მძლავრ ბერკეტსაც წარმოადგენს, რომელიც წინ ეწევა საზოგადოებრივი მეცხოველეობის განვითარების საქმეს.

ჩამოთვლილ ნაკლოვანებებს ადგილი აქვთ აგრეთვე მეცხოველეობის ისეთი პროდუქტების დამზადების საქმეში, როგორიცაა ტყავი და კვერცხი.

სახელმწიფოსათვის ტყავის ნედლეულის მთელი გამოსავლიანობის სავალდებულო ჩაბარება ვნებს კოლმეურნეობათა ინტერესებს მეცხოველეობის განვითარებაში და მოწინავე კოლმეურნეობებს, რომლებიც სახელმწიფოს ყველაზე მეტი რაოდენობით აბარებენ ტყავის ნედლეულს, საშუალებას ართმევს თავიანთ განკარგულებაში საკმაო რაოდენობით იქონიონ ტყავი საკუთარი საჭიროებისათვის და მათ იმ კოლმეურნეობათა თანაბარ მდგომარეობაში აყენებს, რომლებიც საზოგადოებრივ ჯოგს არ ანვითარებენ და სახელმწიფოს ტყავის ნედლეულს არ აბარებენ.

კვერცხის დამზადების არასწორი სისტემა ერთერთი უმთავრესი მიზეზია იმისა, რომ კოლმეურნეობათა დიდ უმრავლესობაში საზოგადოებრივი მეფრინველეობა არ არსებობს, მიუხედავად კოლმეურნეობათა მეფრინველეობის ფერმების გაფართოების უდიდესი შესაძლებლობისა და მიუხედავად მეფრინველეობის საინკუბატორო სადგურების ფართო ქსელის არსებობისა.

ის წესი, როცა კოლმეურნეობანი, რომლებსაც ხარისხის მხრივ უკეთესი ცხენების სულადობა ჰყავთ, სახელმწიფოს თავდაცვის საჭიროებისათვის ყველა საუკეთესო ცხენს აბარებენ, ხოლო კოლმეურნეობანი, რომლებსაც მაღალხარისხოვანი ცხენების სულადობა არა ჰყავთ, ცხენებს სულაც არ აბარებენ, კოლმეურნეობებს ართმევს ცხენთა სულადობის გაუმჯობესების სტიმულს და არახელსაყრელ მდგომარეობაში აყენებს იმ კოლმეურნეობებს, რომლებსაც მიღწევები აქვთ ცხენთა სულადობის გაუმჯობესებაში, ამასთან აქვეზებს იმ კოლმეურნეობებს, რომელნიც მეცხენეობის განვითარებას დაუდევრად ეკიდებიან.

სახელმწიფოსათვის კოლმეურნეობათა მიერ მარცვლეულის, ბრინჯის, მზესუმზირას და კარტოფილის სავალდებულო ჩაბარების გამოანგარიშების არსებულ წესს ის ძირითადი ნაკლი ახასიათებს, რომ ჩაბარებათა ოდენობა გამოიანგარიშება ამ კულტურების თესვის გეგმის მიხედვით, რაც არ იძლევა მტკიცე ბაზას გადასახადის ძალის მქონე სავალდებულო ჩაბარებათა გამოანგარიშებისათვის, იწვევს კოლმეურნეობათა მისწრაფებას მიაღწიონ მარცვლეულის, მზესუმზირას და კარტოფილის თესვის შემცირებულ გეგმებს, აქეზებს ამ კულტურათა ნათესი ფართობის შემცირებას, არ აძლევს სტიმულს ყამირის მოხვნის, ჭაობების ამოშრობისა და ბუჩქნარების ამოძირკვის გზით ახალი მიწების ათვისებას.

სამინდე გადასახადმა, რომელსაც წინათ სახელმწიფოს პურის რესურსებში სერიოზული ადგილი ეკავა, ახლა უკვე დაჰკარგა თავისი წინანდელი მნიშვნელობა, მოსჭამა თავისი დრო და აფერხებს საკოლმეურნეო წესჩვილების განვითარებას, ვინაიდან კოლმეურნეობებს ართმევს არსებული წესჩვილების მოვლითა და ახალი წესჩვილების მშენებლობით დაინტერესებულობას და ზედმეტ სიძნელეებს უქმნის კოლმეურნეებს.

კონტრაქტაციამ, როგორც ისეთი პროდუქტების სახელმწიფო დამზადების საშუალებამ, როგორიც არის ბოსტნეული, ზეთოვანი კულტურების თესლი, ბალახების თესლი, აგრეთვე თივა, დაჰკარგა თავისი მნიშვნელობა, როგორც დამზადების განსაკუთრებულმა მეთოდმა, იგი ვერ უზრუნველჰყოფს აღნიშნული სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების წარმოების საკმაო ზრდას კოლმეურნეობებში.

დიდი ნაკლოვანებანი მოიპოვება იმ დამამზადებელი ორგანოების ორგანიზაციულ სტრუქტურაში, რომლებიც ატარებენ ისეთი პროდუქტების სახელმწიფო შესყიდვასა და დეცდამზადებას, როგორიც არის ხორცი, ბოსტნეული და სხვა. ეს ნაკლოვანებანი უწინარეს ყოვლისა იმაში მდგომარეობენ, რომ მრავალრიცხოვანია დამამზადებელი ორგანოები, რომლებითაც გავსებულია სასაქონლო წარმოების რაიონები, და რომლებიც ხელს უშლიან სახელმწიფო ჩაბარებისა და შესყიდვის საქმეს, თუნდაც არაფერი ვთქვათ იმაზე, რომ ეს ზედმეტ სახელმწიფო ხარჯებს იწვევს.

საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტი და სსრ კავშირის სახკომსაბჭო **ადგენენ:**

1. გაუქმდეს არსებული წესი კოლმეურნეობათა მიერ სახელმწიფოსათვის მარცვლის, ბრინჯის, მზესუმზირას და კარტოფილის სავალდებულო ჩაბარების გამოანგარიშებისა ამ კულტურათა თესვის გეგმის მიხედვით, და ბოსტნეულის, ზეთოვან კულტურათა თესლის, ბალახების თესლის, აგრეთვე თივის კონტრაქტაციის სისტემა.

2. დაწესდეს, რომ, 1940 წლის მოსავლიდან დაწყებული, კოლმეურნეობანი სახელმწიფოს სავალდებულო მიწოდების წესით აბარებენ მარცვალს, ბრინჯს, კარტოფილს, ბოსტნეულს (კომბოსტოს, სუფრის ჭარხალს, სტაფილოს, ხახვს, კიტრს და პომიდორს), ზეთოვან კულტურათა თესლს (მზესუმზირას, საზეთე სელს, აბუსალათინს, სოიას, მდოგვს, რაფსს, შირბახტს) და ბალახების (იონჯა, სამყურა, ტიმოთეკა, კაპაუეტა, ესპარცეტი და ცერცველა) თესლს — კოლმეურნეობებზე მიმაგრებული სახნავი მიწის თვითეული ჰექტარის მიხედვით.

იმ სახნავი მიწის ოდენობაში, რომლის მიხედვითაც ხდება ზემოთჩამოთვლილი კულტურების სავალდებულო ჩაბარების გამოანგარიშება, შედის ბოსტნები, აგრეთვე ახალი მიწები, რომლებიც სახელმწიფო გეგმის მიხედვით ათვისებულ უნდა იქნას ყამირის მოხვნის, ჭაობების ამოშრობისა და ათვისების მეორე წლისათვის ბუჩქნარების ამოძირკვის გზით. სახნავ მიწაში, რომლიდანაც ხდება ზემოთჩამოთვლილ კულტურათა ჩაბარების გამოანგარიშება, არ შედის ის ფართობები, რომლებზედაც დათესილია ბამბა, შაქრის ჭარხალი, სელი, კანაფი, ვარდკაჭაჭა, თამბაქო, წეკო, ეთეროვან-ზეთოვანი კულტურები, ახალღაფული და საწამლეული კულტურები, კოლზა, ალისარჩული, ქინძი, ანისული, ყაყაჩო, წიწმატასელი, არახისი, ლალემსცია, პერილები, კაუჩუკოვანი კულტურები, თუთის, ხალის, კენკრის, საეენახე ნარგავები და სუბტროპიკული კულტურები, რომელთა პროდუქციაც სახელმწიფოს ჰბჭირდება ამჟამად მოჭრილი წესით.

3. მარცვლეული კულტურებისა და ბრინჯის სახელმწიფოსათვის სავალდებულო ჩაბარების ნორმები დაწესდეს იმის აუცილებლობის გათვალისწინებით, რომ სსრ კავშირში მარცვლეულის ჩაბარების საერთო ოდენობა აღემატოს 925 მილიონ ფუთამდე.

მზესუმზირას, ზეთოვანი კულტურების, კარტოფილისა და ბალახთა თესლის ჩაბარების ნორმები დაწესდეს ამ კულტურათა ჩაბარებისა და კონტრაქტაციის გეგმის საფუძველზე, ხოლო ბოსტნეულის მიმართ — კონტრაქტაციის გეგმისა და დეცენტრალიზებული შესყიდვის გეგმის საფუძველზე, რომლებიც დამტკიცებულია 1939 წლისთვის ოლქისა (მხარისა, რესპუბლიკისა) და რაიონისათვის.

უფლება მიეცეს მხარეებს, ოლქებსა და რესპუბლიკებს შეამცირონ ან გაადიდონ ბოსტნეულის ჩაბარების გეგმიდან გამომდინარე ნორმები ცალკეული რაიონებისა და კოლმეურნეობებისათვის მთლიანად მხარეში, ოლქში, რესპუბლიკაში ჩაბარების საერთო ციფრის ფარგლებში, ხოლო ცალკეული რაიონები და კოლმეურნეობანი სავსებით გაათავისუფლონ ბოსტნეულის ჩაბარებისაგან და ბოსტნეულის ჩაბარებაში მონაწილეობა მიაღებინონ იმ რაიონებსა და კოლმეურნეობებს, რომლებსაც არ ჩაუბარებიათ ბოსტნეული 1939 წელს კონტრაქტაციისა და დეცენტრალიზებული შესყიდვის წესით.

ხაბაროვსკისა და პრიმორიეს მხარეებში, ჩიტისა და ლენინგრადის ოლქებში, აზერბაიჯანის, უზბეკეთის, თურქმენეთისა და ტაჯიკეთის სს რესპუბლიკებში დაწესდეს კარტოფილისა და ბოსტნეულის ჩაბარების რამდენადმე გადიდებული ნორმები იმის გამო, რომ არსებული ნორმები შემცირებული იყო და ვერ უზრუნველჰყოფდა გაზრდილ მოთხოვნილებას ბოსტნეულზე და რკინიგზებით კარტოფილის საოლქთაშორისო გადაზიდვის ლიკვიდაციას.

დაშვებულ იქნას ბოსტნეულის ერთი კულტურების შეცვლა მეორით იმ ეკვივალენტის მიხედვით, რომელსაც სსრ კავშირის სახკომსაბჭო დაამტკიცებს.

4. შემოღებულ იქნას 1940 წლიდან სახელმწიფოსათვის თივის სავალდებულო ჩაბარება, ჩაბარების გამოანგარიშებით სახნავი მიწის, აგრეთვე მდელოების ფართობის მიხედვით (მე-2 პუნქტის შესაბამისად), ამასთან დაწესდეს ჩაბარების სხვადასხვა ნორმები სახნავი მიწებისა და მდელოებისათვის, ურწყავისა და სარწყავისათვის.

რკინიგზებსა და სანაოსნო გზებს დაშორებულ კოლმეურნეობებს ნება დაერთოს შესცვალონ თივა მარცვლით, ხორცით, რძის პროდუქციითა და მატყლით — დაწესებული ეკვივალენტის მიხედვით.

5. გაუქმდეს მოქმედი წესი, რომლის თანახმადაც კოლმეურნეობათა მიერ სახელმწიფოსათვის რძის სავალდებულო ჩაბარების გამოანგარიშება სწარმოებს ძროხების სულადობის მიხედვით, და ბრინზის დამზადების არსებული წესი და, 1941 წლიდან დაწყებული, შემოღებულ იქნას კოლმეურნეობათა მიერ სახელმწიფოსათვის ბრინზის სავალდებულო ჩაბარება და დაწესდეს კოლმეურნეობათა მიერ სახელმწიფოსათვის რძისა და ბრინზის სავალდებულო ჩაბარების გამოანგარიშება კოლმეურნეობებზე მიმაგრებული მიწის ფართობის (სახნავი მიწის, მათ შორის ბაღები და ბოსტნები; მდელოები და საძოვრები) თვითეული ჰექტარის მიხედვით.

1941 წლიდან დაწყებული, იმ კოლმეურნეობებს, რომლებსაც ჰყავთ მათთვის დაწესებულ მინიმუმზე მეტი ძროხების სულადობა, ნება დაერთოთ სახელმწიფოს წინაშე რძის ჩაბარების დარგში თავიანთ ვალდებულებათა შესრულების შემდეგ, ჩააბარონ ძროხა სახელმწიფოსათვის მაგივრად, სახელმწიფოსათვის კვერცხის ჩაბარების ხაზით კოლმეურნეების ვალდებულებათა შესრულების ანგარიშში, და ამით ნაწილობრივ ან მთლიანად განთავისუფლებულ იქნან თვით კოლმეურნეები კვერცხის ჩაბარების ვალდებულებათა შესრულებისაგან.

7. დაუწესდეს უკლებლივ ყველა კოლმეურნეობას არმიისათვის ვარგისი, მაღალი ხარისხის ცხენების მოშენებისა და გამოზრდის სავალდებულო მინიმუმი კოლმეურნეობებზე მიმაგრებული მიწის ფართობის შესაბამისად (სახნავი მიწები, მათ შორის ბაღები და ბოსტნები; მდელოები და საძოვრები). შემოღებულ იქნას 1941 წლიდან ცხენების სავალდებულო ჩაბარება თავდაცვის საჭიროებისათვის ცხენთა სულადობის დაწესებული მინიმუმის შესაბამისი ნორმების მიხედვით.

8. გაუქმდეს ხორცის შესყიდვის დაგეგმვის არსებული წესი და დაწესდეს, რომ ხორცის სახელმწიფო შესყიდვის გეგმა მთლიანად აღებული რესპუბლიკისა, ოლქისა, მხარისა, რაიონისა და კოლმეურნეობისათვის გამოიანგარიშება კოლმეურნეობათა მიწის ფართობის რაოდენობის საფუძველზე იმ წლიური ნორმების მიხედვით, რომლებსაც ამტკიცებენ სსრ კავშირის სახკომსაბჭო და საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტი სახელმწიფოსათვის ხორცის სავალდებულო ჩაბარების ოდენობის პროპორციულად. ყველაფერი, რაც შესყიდვის სახელმწიფო გეგმის გადაჭარბებით იქნება შესყიდული, დატოვებულ იქნას რესპუბლიკების, მხარეებისა და ოლქების განკარგულებაში ადგილობრივი მომარაგებისათვის, ამასთან მოხსნილ იქნას დამზადებიდან ყველა დეცენტრალიზებული ოლქგარეშე დამამზადებელი.

9. ტყავის ნედლეულის სახელმწიფო შესყიდვა (ტყავის ტყავის საქონლის შემხვედრო ვაჭრობასთან ერთად, ამასთან ნება დაერთოთ იმ კოლმეურნეობებს, რომლებმაც შეასრულეს ტყავის ნედლეულისა და ხორცის სავალდებულო ჩაბარებანი და უზრუნველჰყვეს მეცხოველეობის განვითარების სახელმწიფო გეგმა, ჩააბარონ ტყავის ნედლეული გადასამუშავებლად სახელმწიფო და კოოპერატიულ საწარმოებს თავისი მიხედულობისამებრ გამოსაყენებლად.

10. ბოსტნეულისა და კარტოფილის სახელმწიფო შესყიდვა ხდებოდეს იმ ძირითადი დამამზადებლების საშუალებით, რომლებიც დამზადებას აწარმოებენ სავალდებულო ჩაბარებათა წესით, ამასთან მოიხსნას ბოსტნეულის, კარტოფილისა და ხილის დამზადების ბაზრიდან ოლქგარეშე დეცენტრალიზებული დამამზადებელნი და დატოვებულ იქნან ადგილობრივი დამამზადებელნი.

დეცენტრალიზებულ ოლქგარეშე დამამზადებელთა აპარატი და ტექნიკური ბაზა გადაეცეს ვაჭრობის სახალხო კომისარიატს ბოსტნეულის ცენტრალიზებული დამზადების გასაძლიერებლად.

11. მსუბუქი მრეწველობის სახალხო კომისარიატის „სოიუზზაგოტკოჟის“, საფეიქრო მრეწველობის სახალხო კომისარიატის „სოიუზზაგოტშერსტის“ და საგარეო ვაჭრობის სახალხო კომისარიატის „გლავპუშნინის“ (მენადირეობის და მეკრაველეობის საბჭოთა მეურნეობების გამოკლებით) დამამზადებელი აპარატი გაერთიანებულ იქნას ტყავის ნედლეულის, მატყლის, ბეწვეულისა და ტყავის დამზადების ერთ სახელმწიფო დამამზადებელ ორგანიზაციად დამზადებათა სახალხო კომისარიატის შემადგენლობაში.

საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის სახკომსაბჭოს საჭიროდ მიაჩნიათ გატარდეს ყველა სახის სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების დამამზადებელთა, განსაკუთრებით დეცენტრალიზებულ დამამზადებელთა შემდგომი შემცირება.

12. გაუქმდეს 1940 წლის 1 ივლისიდან სამინდე გადასახადის ნატურით გადახდევინება მარცვლეულის, პარკოსანი და საბურღულე კულტურების, ბრინჯისა და ზეთოვანი კულტურების გადამუშავებისათვის ყველა სახელმწიფო, კოოპერატიულ და საკოლმეურნეო წისქვილში, საღერღავსა და ზეთსახდელში და დაწესდეს აღნიშნულ კულტურათა გადამუშავებისათვის ფულადი ფასი.

საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის მდივანი
**ი. სტალინი**

სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარე
**ვ. მოლოტოვი**

სსრ კავშირის 1-ღი მოწვევის უმაღლესი საბჭოს მეექვსე სესია

## კანონები, მიღებული სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს მიერ

## კ ა ნ ო ნ ი

### კარელიის ავტონომიური საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის კარელია-ფინეთის მოკავშირე საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკად გარდაქმნის შესახებ

აქმაყოფილებს რა კარელიის ავტონომიური საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის მშრომელთა სურვილს და ხელმძღვანელობს რა ეროვნებათა თავისუფალი განვითარების პრინციპით, საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის უმაღლესი საბჭო **ადგენს:**

1. ტერიტორია, რომელიც სსრ კავშირისა და ფინეთის 1940 წლის 12 მარტის საზავო ხელშეკრულების საფუძველზე ფინეთისაგან სსრ კავშირის ხელში გადმოვიდა, გარდა მცირედენი ზოლისა, რომელიც უშუალოდ ეკვრის ლენინგრადს, გადაცემულ იქნას კარელიის ავტონომიური საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის შემადგენლობაში, მათ შორის გადაცემულ იქნას ქალაქები: ვიბორგი, ანტრეა, კეჭხოლმი, სორტავალა, სუოიარვი, კუოლაიარვი.

2. კარელიის ავტონომიური საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა გარდაიქმნას მოკავშირე კარელია-ფინეთის საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკად.

3. გადაცემულ იქნას კარელია-ფინეთის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის განკარგულებაში იმ ტერიტორიაზე მდებარე სამრეწველო საწარმონი, რომელიც, ამ კანონის პირველი პუნქტის თანახმად, კარელიის შემადგენლობაში გადადის, გარდა საწარმოთა მცირე რაოდენობისა, რომელთაც საერთო-საკავშირო მნიშვნელობა აქვთ.

4. ეთხოვოს რუსეთის საბჭოთა ფედერატიული სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლეს საბჭოს და კარელია-ფინეთის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლეს საბჭოს წარმოუდგინონ სსრ კავშირის უმაღლეს საბჭოს განსახილველად რსფს რესპუბლიკასა და კარელია-ფინეთის სს რესპუბლიკას შორის ზუსტი საზღვრის დაწესების პროექტი.

5. სსრ კავშირის კონსტიტუციის (ძირითადი კანონის) 34 და 35 მუხლების შესაბამისად, ჩატარდეს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატთა არჩევნები კარელია-ფინეთის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკისათვის.

6. მიენდოს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმს დანიშნოს არჩევნების დრო.

7. ამ კანონის შესაბამისად, შეტანილ იქნას დამატება სსრ კავშირის კონსტიტუციის (ძირითადი კანონის) 13 მუხლში, რომელიც ჩამოყალიბდეს შემდეგნაირად:

**„მუხლი 13.** საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირი არის საკავშირო სახელმწიფო, შექმნილი თანასწორუფლებიანი საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების ნებაყოფლობით გაერთიანების საფუძველზე:

რუსეთის საბჭოთა ფედერატიული სოციალისტური რესპუბლიკისა,

უკრაინის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკისა,

ბელორუსიის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკისა,

აზერბაიჯანის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკისა,

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკისა,

სომხეთის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკისა,

თურქმენეთის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკისა,

უზბეკეთის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკისა,

ტაჯიკეთის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკისა,

ყაზახეთის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკისა,

ყირგიზეთის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკისა,

კარელია-ფინეთის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკისა“.

**სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე**
**მ. კალინინი**

**სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი**
**ა. გორკინი**

მოსკოვი, კრემლი.
1940 წ. 31 მარტი.

## კ ა ნ ო ნ ი

### საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის 1940 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ

საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის უმაღლესი საბჭო **ადგენს:**

1. დამტკიცდეს სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს მიერ წარმოდგენილი სსრ კავშირის 1940 წლის სახელმწიფო ბიუჯეტი კავშირის საბჭოს და ეროვნებათა საბჭოს საბიუჯეტო კომისიების მოხსენებათა გამო მიღებული ცვლილებებით, სახელდობრ: სულ შემოსავლის ნაწილში — 183.954.633 ათასი მანეთი და სულ გასავლის ნაწილში—179.913.376 ათასი მანეთი საკავშირო ბიუჯეტის სახსრების ნაშთიანად სსრ კავშირის სახ. ბანკის ანგარიშებზე 1941 წლის 1 იანვრისათვის 1.475.000 ათასი მანეთის რაოდენობით და, გარდა ამისა, შემოსავლის გადამეტებით გასავალზე 2.566.257 ათასი მანეთის რაოდენობით.

2. ამ კანონის I მუხლის შესაბამისად, დამტკიცდეს საკავშირო ბიუჯეტის შემოსავალი და გასავალი შემოსავლის ნაწილში 141.094.905 ათასი მანეთის და გასავლის ნაწილში 137.053.648 ათასი მანეთის რაოდენობით სახსრების ნაშთიანად სსრ კავშირის სახ. ბანკის ანგარიშებზე 1941 წლის 1 იანვრისათვის 1.475.000 ათასი მანეთის რაოდენობით და, გარდა ამისა, შემოსავლის გადამეტებით გასავალზე 2.566.257 ათასი მანეთის რაოდენობით.

3. დამტკიცდეს მოკავშირე რესპუბლიკების 1940 წლის სახელმწიფო ბიუჯეტები შემდეგი რაოდენობით:

| | შემოსავალი (ათას მანეთებში) | გასავალი (ათას მანეთებში) |
|---|---|---|
| რუსეთის საბჭოთა ფედერატიული სოციალისტური რესპუბლიკა | 25.244.171 | 25.244.171 |
| აქედან: რესპუბლიკური ბიუჯეტი | 15.019.725 | 6.463.988 |
| ადგილობრივი ბიუჯეტები | 10.224.446 | 18.780.183 |
| უკრაინის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა | 8.096.411 | 8.096.411 |
| აქედან: რესპუბლიკური ბიუჯეტი | 5.382.427 | 2.259.018 |
| ადგილობრივი ბიუჯეტები | 2.713.984 | 5.837.393 |
| ბელორუსიის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა | 2.144.597 | 2.144.597 |
| აქედან: რესპუბლიკური ბიუჯეტი | 1.673.177 | 716.789 |
| ადგილობრივი ბიუჯეტები | 471.420 | 1.427.808 |
| აზერბაიჯანის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა | 1.040.721 | 1.040.721 |
| აქედან: რესპუბლიკური ბიუჯეტი | 837.596 | 391.110 |
| ადგილობრივი ბიუჯეტები | 203.125 | 649.611 |
| საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა | 1.227.451 | 1.227.451 |
| აქედან: რესპუბლიკური ბიუჯეტი | 983.707 | 494.502 |
| ადგილობრივი ბიუჯეტები | 243.744 | 732.949 |
| სომხეთის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა | 469.664 | 469.664 |
| აქედან: რესპუბლიკური ბიუჯეტი | 401.976 | 212.509 |
| ადგილობრივი ბიუჯეტები | 67.688 | 257.155 |
| თურქმენეთის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა | 526.552 | 526.552 |
| აქედან: რესპუბლიკური ბიუჯეტი | 459.704 | 238.327 |
| ადგილობრივი ბიუჯეტები | 66.848 | 288.225 |
| უზბეკეთის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა | 1.486.969 | 1.486.969 |
| აქედან: რესპუბლიკური ბიუჯეტი | 1.210.812 | 558.907 |
| ადგილობრივი ბიუჯეტები | 276.157 | 928.062 |
| ტაჯიკეთის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა | 527.105 | 527.105 |
| აქედან: რესპუბლიკური ბიუჯეტი | 470.613 | 230.354 |

# მარქსიზმ-ლენინიზმის პროპაგანდის ახალი კერ

# კ ა ნ ო ნ ი

## საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის 1940 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ

(დასასრული)

| | ზემოსავლის ნაწილში (ათას მანეთობით) | გასავლის ნაწილში (ათას მანეთობით) |
|---|---|---|
| ადგილობრივი ბიუჯეტები | 56.492 | 296.751 |
| ყაზახეთის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა | 1.660.650 | 1.660.650 |
| აქედან: რესპუბლიკური ბიუჯეტი | 1.436.660 | 628.831 |
| ადგილობრივი ბიუჯეტები | 223.990 | 1.031.819 |
| ყირგიზეთის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა | 435.437 | 435.437 |
| აქედან: რესპუბლიკური ბიუჯეტი | 389.929 | 173.852 |
| ადგილობრივი ბიუჯეტები | 45.508 | 261.585 |
| სულ მოკავშირე რესპუბლიკათა სახელმწიფო ბიუჯეტებით | 42.859.728 | 42.859.728 |
| აქედან: რესპუბლიკური ბიუჯეტები | 28.266.326 | 12.368.187 |
| ადგილობრივი ბიუჯეტები | 14.593.402 | 30.491.541 |

4. დამტკიცდეს ანარიცხები რესპუბლიკური ბიუჯეტებიდან ამს რესპუბლიკებისა და ადგილობრივი საბჭოების ბიუჯეტებში შემდეგი თანხების რაოდენობით:

(ათას მანეთობით)

| | |
|---|---|
| რუსეთის საბჭოთა ფედერატიული სოციალისტური რესპუბლიკა | 8.555.737 |
| უკრაინის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა | 3.123.409 |
| ბელორუსიის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა | 956.388 |
| აზერბაიჯანის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა | 446.486 |
| საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა | 489.205 |
| სომხეთის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა | 189.467 |
| თურქმენეთის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა | 221.377 |
| უზბეკეთის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა | 651.905 |
| ტაჯიკეთის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა | 240.259 |
| ყაზახეთის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა | 807.829 |
| ყირგიზეთის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა | 216.077 |
| **სულ:** | 15.898.139 |

5. დაევალოს სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს დამატებით განიხილოს და დაამტკიცოს კარელო-ფინეთის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის 1940 წლის ბიუჯეტი, ამასთან გამოჰყოს საჭირო სახსრები სსრ კავშირის სახკომსაბჭოს სარეზერვო ფონდის ხარჯზე.

6. დაწესდეს 1940 წლისათვის ანარიცხები საერთო-საკავშირო სახელმწიფო გადასახადებიდან და შემოსავლიდან რესპუბლიკურ და ადგილობრივ ბიუჯეტებში შემდეგი რაოდენობით:

ა) საბინაო და კულტურულ-საყოფაცხოვრებო მშენებლობის საჭიროებათათვის ქალაქად აკრეფილი გამოსაღებიდან რსფსრ, უკრაინის სსრ, ბელორუსიის სსრ, აზერბაიჯანის სსრ, საქართველოს სსრ, სომხეთის სსრ და უზბეკეთის სსრ ბიუჯეტებში — 50% და თურქმენეთის სსრ, ტაჯიკეთის სსრ, ყაზახეთის სსრ და ყირგიზეთის სსრ ბიუჯეტებში—100%;

ბ) საბინაო და კულტურულ-საყოფაცხოვრებო მშენებლობის საჭიროებათათვის სოფლად აკრეფილი გამოსაღებიდან ყველა მოკავშირე რესპუბლიკის ბიუჯეტებში—100%;

გ) კოლმეურნეობათა საშემოსავლო გადასახადისა და კოლმეურნეთა და ერთპიროვნულ მეურნეთა სასოფლო-სამეურნეო გადასახადის სახით შემოსული თანხებიდან—რსფსრ, უკრაინის სსრ, ბელორუსიის სსრ ბიუჯეტებში—75% და აზერბაიჯანის სსრ, საქართველოს სსრ, სომხეთის სსრ, თურქმენეთის სსრ, უზბეკეთის სსრ, ტაჯიკეთის სსრ, ყაზახეთის სსრ და ყირგიზეთის სსრ ბიუჯეტებში—100%;

დ) მუშებსა და მოსამსახურეებში და ქალაქის სხვა მოსახლეობაში გავრცელებული სახელმწიფო სესხის თანხის 50%—მოკავშირე რესპუბლიკათა ბიუჯეტებში, იმისათვის, რომ იქიდან 25% გადაირიცხოს ადგილობრივ ბიუჯეტებში; კოლმეურნეებსა და ერთპიროვნულ მეურნეებში გავრცელებული სესხის თანხის 90%—მოკავშირე რესპუბლიკათა ბიუჯეტებში, იმისათვის, რომ გადაირიცხოს ადგილობრივ ბიუჯეტებში;

ე) მანქანა-ტრაქტორთა სადგურების შემოსავლიდან მოკავშირე რესპუბლიკათა ბიუჯეტებში — 50%, იმისათვის, რომ აქედან 30-მდე % გადაირიცხოს ადგილობრივ ბიუჯეტებში.

7. დაევალოს სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს, ბრუნვის გადასახადიდან მოკავშირე რესპუბლიკებისათვის გადასარიცხი თანხების შესაბამისად, რომლებიც დამტკიცებულია სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს მიერ, დაადგინოს თვითეული მოკავშირე რესპუბლიკისათვის ამ გადასახადის ანარიცხთა პროცენტები.

8. დამტკიცდეს ანგარიში სსრ კავშირის 1938 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულებისა შემოსავლის ნაწილში 127.480.890 ათასი მანეთის რაოდენობით და გასავლის ნაწილში — 124.038.942 ათასი მანეთის რაოდენობით, შემოსავლის გადამეტებით გასავალზე 3.441.948 ათასი მანეთის რაოდენობით.

**სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე**
**მ. კალინინი**

**სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი**
**ა. გორკინი**

მოსკოვი, კრემლი.
1940 წლის 3 აპრილი.

## საქართველოს სოფლის მეურნეობის მოწინავე ადამიანების დაჯილდოება ვერცხლის მედალებით

**მოსკოვი,** 7 აპრილი (ჩვენი საკ. კორ.). სრულიად - საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენის მთავარი კომიტეტის დადგენილებით ვერცხლის მედალებით დაჯილდოებული არიან საქართველოს სს რესპუბლიკიდან 1939 წლის სასოფლო-სამეურნეო გამოფენის მონაწილენი — კოლმეურნეობათა თავმჯდომარეები და საბჭოთა მეურნეობების დირექტორები, სოფლის მეურნეობის სპეციალისტები და მოწინავეები.

**ვერცხლის დიდი მედალით დაჯილდოებულია** 51 კაცი. მათ შორის არიან კოლმეურნეობათა თავმჯდომარეები **ჯ. ფ. ზაქარაია** (თბილისის რაიონი), **ჰ. ა. დროზდოვი** (ბოგდანოვკის რაიონი), **ხ. ე. ლავასასი** (ქობულეთის რაიონი), **შ. ს. სამანიშვილი** (ქუთაისის რაიონი), ცეცხლაურის საბჭოთა მეურნეობის დირექტორი **ი. მ. ცინცაძე**, ნატანების საბჭოთა მეურნეობის დირექტორი **ქ. ქ. ბახტაძე**, ტრაქტორისტები **ნ. მ. ბრეკაშვილი** (ლაგოდეხის მტს), **ი. ი. მიქაელიანცი** (ალაზნის მტს), **მ. თ. ხვთისაურაშვილი** (ყვარლის მტს), **ს. გ. უსენაშვილი** (ულიანოვკის მტს). წარჩინებული მებარეშუმე **მ. ნ. აივაზაშვილი,** ჩაის ფოთლის ცნობილი მკრეფავი **ძ. დ. ჯინჯოლავა**, დაჯილდოებულთა შორის არიან კასპის რაიონის მახარაძის სახელობის კოლმეურნეობის რგოლის ხელმძღვანელი **ზ. ნ. ბეგიაშვილი,** სიღნაღის რაიონის 26 კომუნარის სახელობის კოლმეურნეობის მეჯოგე **ი. ზ. კოჭლამაზაშვილი,** ბორჩალოს რაიონის კოლმეურნეობა „ზორბაჩის“ ბრიგადირი **ჰამიდ მახმუდ ოღლი,** სოხუმის რაიონის ბერიას სახელობის კოლმეურნეობის რგოლის ხელმძღვანელი **ო. ბ. სართანია.**

ვერცხლის დიდი მედალით დაჯილდოებულია აგრეთვე პროფესორი **ვ. ზ. ღვალაძე,** სასოფლო-სამეურნეო მეცნიერებათა კანდიდატი **გ. კ. ჯაფარიძე,** სხვადასხვა სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტების მეცნიერ მუშაკები **ი. ი. ლავრიჩუკი, ი. ნ. ლომია, ვ. პ. ნიკიფოროვი, ი. ა. ხოჭოლავა, ა. ე. ჩაჩა** და **პ. ჩ. ჩიკოვი.**

დაჯილდოებულთა შორის არიან სიღნაღის რაიაღმასკომის თავმჯდომარე **ლ. მ. მაზნიაშვილი,** აბაშის რაიმიწგანის უფროსი აგრონომი **პ. ი. ჯინჯიხაძე,** აგრონომი-გამომგონებელი **ზ. ფ. მარდალეიშვილი,** სიღნაღის რაიმიწგანის უფროსი ზოოტექნიკოსი **ა. თ. ხოსიტაშვილი** და სხვ.

ვერცხლის დიდი მედალით დაჯილდოებულთ ამავე დროს ეძლევათ ფულადი ჯილდო 1.000 მანეთის ოდენობით.

ამავე ტბდგენილებით გამოფენის მთავარი კომიტეტის მიერ საქართველოს სს რესპუბლიკიდან **ვერცხლის პატარა მედალით** დაჯილდოებულია 300 კაცი. მათ რიცხვში შედიან კოლმეურნეობათა 9 თავმჯდომარე, 56 ბრიგადირი, 12 რგოლის ხელმძღვანელი, 17 მწველავი, მებარეშუმე, მებოსტნე, მეჯოგიბე და სხვ., კოლმეურნეობათა 16 წევრი, საბჭოთა მეურნეობების 7 დირექტორი, 18 ბრიგადირი და რგოლის ხელმძღვანელი, ჩაის ფოთლის 12 მკრეფავი, 5 მებაღე, ცხენსაშენის 2 მუშაკი, 3 მყნობელი.

დაჯილდოებულთა რიცხვში არიან რაიმიწგანის 6 გამგე, სასოფლო საბჭოების 4 თავმჯდომარე, ფერმის 4 გამგე, მტს-ების 36 ტრაქტორისტი, კომბაინერი და სხვა მუშაკები; დაჯილდოებულია 50 აგრონომი, 6 ინჟინერი და ტექნიკოსი, ვეტერინარიის 8 მუშაკი, 5 ზოოტექნიკოსი. დაჯილდოებულთა შორის 12 მეცნიერ მუშაკია—საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის პროფესორები **ვ. ზ. გულისაშვილი, ი. ნ. ლომაური, ნ. მ. ხომისურაშვილი** და ამავე ინსტიტუტის მექანიზაციის ფაკულტეტის დეკანი **გ. ე. თევზაძე.**

ვერცხლის პატარა მედალით დაჯილდოებული არიან საქართველოს მიწსახკომის სუბტროპიკული სამმარცვლეოს უფროსი **ბ. ა. იაკობაშვილი,** კოლხიდმშენის მთავარი ინჟინერი **ა. ფ. ბირკაია,** საქართველოს მიწსახკომის მექანიზაციის სექტორის გამგე **ს. ი. ვაჩეიშვილი,** საქართველოს მიწსახკომთან არსებული მარცვლეულ კულტურათა ჯიშსაცდელი სახელმწიფო კომისიის ინსპექტორი **ბ. ს. ჯანელიძე,** ბათუმის ბოტანიკური ბაღის დირექტორი **გ. გ. მხეიძე,** ამავე ბაღის უფროსი მებაღე **ბ. ო. ჭანტურიშვილი,** ზუგდიდის რაიაბრეშუმის გამგე **ვ. ო. სარია.**

დაჯილდოებულთა სიაში შედის 9 ნორჩი ნატურალისტი. ესენი არიან სხვადასხვა საშუალო და რაიონული სკოლების მოსწავლეები.

ვერცხლის პატარა მედალით დაჯილდოებულებს ეძლევა აგრეთვე ფულადი ჯილდო 500 მანეთის ოდენობით.

## მაიაკოვსკის ხსოვნის აღნიშვნა საზღვარგარეთ

საზღვარგარეთ წლითი წლობით იზრდება ინტერესი მაიაკოვსკის ნაწარმოებებისადმი. ამჟამად, მაიაკოვსკის გარდაცვალების 10 წლისთავთან დაკავშირებით, მრავალ სახელმწიფოში ეწყობა დიდი საბჭოთა პოეტის ხსოვნისადმი მიძღვნილი საღამოები და მოხსენებანი.

საბჭოთა მწერლების კავშირის უცხოეთის კომისიამ ძიიღო 18 ბულგარელი მწერლის, მათ შორის ლიუდმილ სტოიანოვის, მარია გრუბეშლიევას, გიონჩო ბელევის, ტოდორ პავლოვისა და სხვების მიერ ხელმოწერილი წერილი. ამ წერილში, რომლის სათაურია „კაცობრიობის ახალი კულტურის წინამორბედი“, ნათქვამია:

— „მაიაკოვსკის პოეზია მეტად პოპულარულია ბულგარეთში. მისი სახელი, როგორც პოეტისა, მხატვრისა და ახალი ჰუმანიტების მატარებლისა, ფართოდ არის ცნობილი... საბჭოთა ხალხთან და საბჭოთა ინტელიგენციასთან ერთად ღრმა პატივს ვცემთ მაიაკოვსკის ხსოვნას და გვიყვარს მისი პოეზია“.

ბულგარეთის მწერლებმა გამოგზავნეს მაიაკოვსკის პირველი თარგმანები თავიანთ მშობლიურ ენაზე და ლიტერატურული ყოველკვირეული ჟურნალი „შჩიტ“, რომელშიც დაბეჭდილია სტატიები საბჭოთა პოეტის შესახებ. ამჟამად ბულგარეთში მომზადებულია ნაშრომი—„მაიაკოვსკის გავლენა ბულგარეთის პოეზიაზე“.

კაუნასში ეწყობა დიდი ლიტერატურული საღამო, რომელზედაც წაკითხული იქნება მოხსენებანი მაიაკოვსკის შემოქმედების შესახებ და მაიაკოვსკის გავლენის შესახებ ლიტვის პოეზიაზე.

სერბიელმა პოეტმა სტეენსკიმ გადათარგმნა მაიაკოვსკის პოემა „კარგი“.

საბჭოთა მწერლების კავშირის უცხოეთის კომისიამ 30 უდიდეს საზღვარგარეთელ მწერალს თხოვნა დახმარება აღმოუჩინონ მოსკოვის ვ. ვ. მაიაკოვსკის ბიბლიოთეკა-მუზეუმს, პოეტის ნაწარმოებთა უცხოურ ენაზე ყველა თარგმანის და მის შესახებ დაწერილი სტატიების თავმოყრაში. ამ მიმართვამ, როგორც პირველი საპასუხო წერილებიდან სჩანს, მხურვალე გამოძახილი ჰპოვა უცხოეთის მწერალთა შორის. (საკდესი).

## თურქეთის თავდაცვის მინისტრის გადადგომა

**ანკარა,** 5 აპრილი (საკდესი). ანატოლიის საagენტოს ცნობით, ნაციონალური თავდაცვის მინისტრი ნაჯი ტანაზი გადადგა. თავდაცვის მინისტრის პოსტზე დაინიშნა მეჯლისის დეპუტატი ერზინჯანიდან, განათლების ყოფილი მინისტრი და სახალხო რესპუბლიკური პარტიის ყოფილი გენერალური მდივანი საფეთ არიკანი.

## ინგლისის მრჩევლის მოკვლა ჩრანსიორდანიაში

**ბერლინი,** 5 აპრილი (საკდესი). გერმანიის ტრანსოცეანის საagენტო გადმოგვცემს, რომ გუშინ გზაზე ამანსა (ტრანსიორდანია) და იერუსალიმს შორის იპოვნეს ავტომობილში მოკლული ჰენრი დევისი ტრანსიორდანიის მთავრობის ინგლისელი მრჩეველი.

მკვლელები აღმოჩენილი არ არიან. როგორც ფიქრობენ, დევისს თავს დაესხნენ არაბი მეამბოხენი, რომელნიც უკანასკნელ დროს კვლავ დიდ აქტივობას იჩენენ.

საagენტო დასძენს, რომ იერუსალიმში ინგლისის ცენზურა არ უშვებს ცნობებს პალესტინაში არაბი პარტიზანების მოქმედების შესახებ.

ტრანსიორდანია ინგლისის საქვემანდატო ტერიტორიაა, რომელიც პალესტინასა, სირიასა და საუდის არაბეთს შორის მდებარეობს. ტრანსიორდანიის საერთო ფართობია 51 ათასი კვადრატული კილომეტრი; მოსახლეობა შეადგენს 350 ათას კაცს და უმთავრესად არაბებისაგან შესდგება.

## მიწისძვრა თურქეთში

**ლონდონი,** 5 აპრილი (საკდესი). როგორც რეიტერის საagენტოს სტამბოლელი კორესპონდენტი გადმოგვცემს, გუშინ ჩრდილოეთ ანატოლიაში შემჩნეული იყო ძლიერი მიწისქვეშა ბიძგები, რასაც დიდი წყალდიდობა მოჰყვა ამასიის რაიონში. ამასია და მის ახლომდებარე ოცდაათი სოფელი წყალმა წალეკა. ფიქრობენ, რომ ადამიანის მსხვერპლიც არის.

## ლექციები

○ **საქ. ალკ ცბილისის კომიტეტის ინიციატივით,** 9 აპრილს, საღამოს 8 საათზე, საქ. კ. პ. (ბ) თბილისის კომიტეტის ლ. კეცხოველის სახელობის პარტპროპაგანდის სახლში ახალგაზრდა მასწავლებელთა და კომკავშირის ხელმძღვანელი აქტივისათვის გაიმართება პროფ. მ. გოგიბერიძის ლექცია — „მარქსისტულ-ლენინური შემეცნების თეორია“.

○ **დღეს, 8 აპრილს,** განათლების სახალხო კომისარიატის ლექტორიუმში (კონსერვატორიის დარბაზში) შესდგება პროფ. მ. გოგიბერიძის ლექცია: „მეტაფიზიკა და დიალექტიკა“.

## სსრ კავშირსა და ირანს შორის დადებული ვაჭრობისა და ზღვაოსნობის შესახებ ხელშეკრულების რატიფიკაცია

**თეირანი,** 5 აპრილი (საკდესი). გუშინ ირანის მეჯლისმა ერთხმად მოახდინა სსრ კავშირსა და ირანს შორის ვაჭრობისა და ზღვაოსნობის შესახებ ა-წ. 25 მარტს დადებული ხელშეკრულების რატიფიკაცია.

## რეინოს მთავრობის მდგომარეობა

**პარიზი,** 6 აპრილი (საკდესი). რეინოს მთავრობის მდგომარეობა დღემდე მეტად მერყეობა. ამ დღეებში შესდგა რადიკალ-სოციალისტთა საპარლამენტო ჯგუფის სხდომა, რომელზედაც გადაწყდა დელეგაცია გაეგზავნათ რეინოსათვის, რათა დაეკითხებით მოეთხოვნათ, რომ დეპუტატთა პალატაში გაიხსნას კამათი მთავრობის საერთო პოლიტიკის შესახებ. როგორც ვიცით, რეინომ თანხმობა განაცხადა დეპუტატთა პალატაში კამათის გახსნაზე. აქ მაინც აღნიშნავენ, რომ ამან ვერ შეამსუბუქა მთავრობის მდგომარეობა, რამდენადაც რადიკალ - სოციალისტთა ჯგუფმა უარი არა სთქვა თავის შეხედულებაზე და პრეტენზიებზე. გარდა ამისა, რეინოს მთავრობას ეწინააღმდეგება „რესპუბლიკური ფედერაციის“ ჯგუფი, რომელსაც არ აკმაყოფილებს მთავრობის პერსონალური შემადგენლობა. რეინოს კაბინეტისადმი მტრულ განწყობილებას ადგილი აქვს „სოციალისტური და რესპუბლიკური კავშირის“ საპარლამენტო ჯგუფის დეპუტატებს შორისაც. ზოგიერთი გაზეთი სწერს, მთავრობა, შესაძლებელია, 9 აპრილს დაემხოსო.

## კომუნისტების დევნა საფრანგეთში

**პარიზი,** 6 აპრილი (საკდესი). ჰავასის სააგენტოს ცნობით, „ამას წინათ საფრანგეთის მინისტრთა საბჭოს სხდომაზე მიღებულ გადაწყვეტილების შესაბამისად, შინაგან საქმეთა მინისტრმა რუამ მოამზადა პროექტი დეკრეტისა, რომელიც ხელმოსაწერად გადაეცემა რესპუბლიკის პრეზიდენტს. ამ დეკრეტის თანახმად, იმ პირთ, რომლებიც მხილებულ იქნებიან კომუნისტური პროპაგანდის საშუალებათა დამზადებაში, გავრცელებასა ან შენახვაში, ბრალს დასდებენ ღალატში და ამიტომ, შესაძლოა, დაისაჯონ სიკვდილით. ეს დეკრეტი ძალაში შევა უმოკლეს ვადაში, რათა პოლიციის პრეფექტებსა და სასამართლო ხელისუფლებას შესაძლებლობა მიეცეს ჩაატარონ ღამით ჩხრეკა იმ პირთა ბინებში, რომლებზედაც ეჭვია მიტანილი. პარიზის რაიონში მდებარე საკონცენტრაციო ბანაკებს ჩრდილო აფრიკაში გადაიტანენ.“

## პროვესტები ფრანგ კომუნისტ დეპუტატების მიმართ გამოტანილი განაჩენის წინააღმდეგ

**ლონდონი,** 6 აპრილი (საკდესი). ინგლისის მშრომელთა აღშფოთება იმ განაჩენით, რომელიც პარიზის სასამართლომ სთხარა ფრანგეთის პარლამენტის კომუნისტ დეპუტატებს გამოუტანა, კიდევ უფრო გაიზარდა საფრანგეთის მთავრობის მიერ იმ დეკრეტის პროექტის გამოქვეყნების შემდეგ, რომელიც სიკვდილით დასჯას ითვალისწინებს კომუნისტური მოღვაწეობისათვის.

„სამოქალაქო თავისუფლებათა დაცვის ინგლისის ნაციონალური საბჭოს“ მიერ გუშინ გამოქვეყნებულ განცხადებაში ნათქვამია: „საბჭოს მიაჩნია, რომ რეინოს მთავრობის ახალი დეკრეტი ნიშნავს საფრანგეთის ხალხის უფლებათა შელახვას“. საბჭო დაჟინებით მოითხოვს დეკრეტის გაუქმებას.

გაზეთი „დეილი უორკერი“ სწერს, რომ საფრანგეთის მთავრობის ახალი დეკრეტი შუქს ჰფენს ნამდვილ მდგომარეობას საფრანგეთში და ტერორს საფრანგეთის ხელისუფლებისას, რომელიც ცდილობს ჩაახშოს მუშათა კლასის პროტესტი ომისა და იმ მსხვერპლის წინააღმდეგ, რომელიც თავს დაატყდა მუშათა კლასს.

ინგლისის მთელმა რიგმა მუშათა ორგანიზაციებმა დემონსტრაცია გამართეს საფრანგეთის საელჩოს შენობის წინ ლონდონში, ნიშნად პროტესტისა საფრანგეთის კომუნისტი დეპუტატების მიმართ გამოტანილი განაჩენის წინაღმდეგ.

## გერმანიისა და იტალიის პრესა ევროპის ხელახალი განაწილების ინგლის-საფრანგეთის გეგმების შესახებ

**ბერლინი,** 5 აპრილი (საკდესი). გერმანიის პრესა იუწყება, რომ ფრანგულს ყოველკვირეულ „ილუსტრასიონში“ მოთავსებულია მომავალი ევროპის გეოგრაფიული რუკის ფოტოგრაფია; იქვე სდგას საფრანგეთის ახლანდელი პრემიერ მინისტრი რეინო და ესაუბრება რუზველტის საგანგებო რწმუნებულს ევროპაში უელესს. გერმანულმა გაზეთებმა ეს რუკა მოათავსეს ცალკე, გადიდებული სახით. ამ რუკაზე მოხაზულია შუა ევროპის ახალი ტერიტორიული დანაწილება და აღნიშნულია ახალი საზღვრები. მაგალითად, საფრანგეთის აღმოსავლეთის საზღვარი გადის რეინზე, პოლონეთის საზღვარი—ოდერზე, ისე რომ პომერანიისა და სილეზიის უმეტესი ნაწილი, მთელი აღმოსავლეთ პრუსია, დანციგი და კორიდორი პოლონეთს ეძლევა. რუკაზე დამოუკიდებელ სახელმწიფოდ არის გამოყოფილი ჰაბსბურგების იმპერია, რომელშიც შედის იტალიის ჩრდილო-აღმოსავლეთი ოლქები. რუკაზე აღდგენილია ჩეხოსლოვაკია, რომელიც გადიდებულია ავსტრიის, ბავარიის, საქსონიის, სილეზიის, კარპატისპირა რუსეთისა და უნგრეთის ჩრდილო-დასავლეთ ნაპირის ხარჯზე. ბავარია გამოყოფილია დამოუკიდებელ სახელმწიფოდ. შეკვეცილი გერმანია აღნიშნულია ამ რუკაზე როგორც პრუსია. იტალიის ადრიატიკის აღმოსავლეთი ნაპირი გადადის იუგოსლავიის ხელში. ჰოლანდია და ბელგია შეერთებულია ერთ სახელმწიფოდ.

გერმანული გაზეთები მთელ რიგ სტატიებს უძღვნიან ამ რუკას.

## „ჯანგარის“ საღამო

8 აპრილს, საღამოს 8 საათზე, საქართველოს საბჭოთა მწერლების კლუბში შესდგება ყალმუხური სახალხო ეპოსის „ჯანგარის“ საღამო. შესავალ სიტყვას წარმოსთქვამს პოეტი ირ. აბაშიძე. მოხსენებას „ჯანგარის“ შესახებ წაიკითხავს გ. ნატროშვილი. თარგმანს „ჯანგარიდან“ („ერთი სიმღერა შრისხანე ხანის შარა გიურგიუს დამარცხებისა“) წაიკითხავენ პოეტები გრ. აბაშიძე, რ. გვეტაძე, ა. გომიაშვილი, ვ. გორგაძე, კ. ჭიჭინაძე, ქ. კალაძე.

8 აპრილს, საღამოს 7 საათზე, „კომუნისტის“ რედაქციის ბინაზე (ლენინის ქ. № 28, მე-4 სართული) შესდგება გაზ. „კომუნისტის“ რედაქციასთან არსებული ძირეული პრესის მუშაკთა მოსამზადებელი კურსების

**მოკრიბი მეცადინეობა**

მსმენელთა დასწრება სავალდებულოა.

## პარტკალენდარი

**საქ. კ. პ. (ბ) თბილისის ორგანიზაციის ბერიას სახელობის რაიკომი** აცხადებს, რომ საკანდიდატო ბარათი № 1680389, გაცემული დავით გიორგის-ძე ჩიკოიძის სახელზე, დაკარგულია და ჩაითვალოს გაუქმებულად.

## დღეს თეატრებსა და კინოებში

**თეატრებში: სახოპერა** — „ჩიო-ჩიო-სან“ (5 ან. 11 წარმ.), **რუსთაველის** სახელობის — „ოტელო“, **მარჯანიშვილის** სახელობის — „გიორგი საკაძე“.

**კინოებში: რუსთაველის** სახ. — „მეოთხე პრისკოპი“, **ოქტომბერი** — „დიდი ცხოვრება“, **დამკვრელი** — „მეზღვაურნი“, **კომკავშირელი** — „წყნარი დონი“, **სპარტაკი** — „გამანადგურებლები“, **ლუჩსემბურგის** სახ. — „არინკა“, **კომინტერნი** — „გამანადგურებლები“, **26 კომ.** სახ. — „გამანადგურებლები“.

პასუხისმგებელი რედაქტორი
**ვ. ხატიაშვილი**

## საგაზაფხულო თესვა კოლმეურნეობებში

საქმიწსახკომის ცნობებით 5 აპრილს საქართველოს კოლმეურნეობებში საგაზაფხულო კულტურები დათესილი იყო 51.311 ჰექტარზე — გეგმის მხოლოდ 10 პროცენტი.

ცალკეული კულტურები დათესილია: თავთავიანი მარცვლეული — 22.429 ჰექტარი (გეგმის 22 პროცენტი), სიმინდი — 12.866 ჰექტარი (4,8 პროცენტი), შაქრის ჭარხალი — 1.632 (29,7 პროც.), კარტოფილი — 2.241 (14,4 პროც.) და სხვ.

შეუწყნარებლად ჩამორჩენილია თავთავიანი მარცვლეულის თესვა. მოუხედავად იმისა, რომ დაწესებული ვადები ამოიწურა, თესვის გეგმა არ შეუსრულებიათ ხაშურის, ქარელის, გორის, კასპის, სიღნაღისა და თელავის რაიონებს.

# საბჭოთა კავშირის გმირი ალექსი იაგორის-ძე ოსტაევი

**სტალინირი.** (საკდესი). ფინეთის თეთრგვარდიელობასთან ბრძოლის ფრონტზე სარდლობის საბრძოლო დავალებათა სანიმუშოდ შესრულებისა და ამასთან თავდადებისა და გმირობის გამოჩენისათვის სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 21 მარტის ბრძანებულებით უფროს ლეიტენანტს ამხ. ალექსი იაგორის-ძე ოსტაევს მიენიჭა საბჭოთა კავშირის გმირის სახელწოდება და გადაეცა ლენინის ორდენი და „ოქროს ვარსკვლავის“ მედალი.

○



საბჭოთა კავშირის გმირი ამხ. ალექსი იაგორის-ძე ოსტაევი

ალექსი იაგორის-ძე ოსტაევი დაიბადა ყარიბ ოჯახში, ჯავის რაიონის სოფელ სოხტაში (სამხრეთ-ოსეთი). ალექსის კიდევ ორი ძმა ჰყავს. ერთი მათგანი — რაჟდენი მუშაობს ქ. ორჯონიკიძის ქარხანა „ელექტროცინკში“, ხოლო მეორე ძმა გაბრიელი — ქალაქ სტალინირში.

აი რას მოგვითხრობს ამხ. გაბრიელ ოსტაევი:

— „ჩვენი ოჯახი ღარიბად ცხოვრობდა. მშიდისათვისაც კი არ გაგვაჩნდა სახსრები. ჩვენ ადრე დავრბენდით. დედა გარდაიცვალა 1917 წელს, ხოლო სამი წლის შემდეგ მოგვიკვდა მამაც. 1923 წელს მე ძმასთან ერთად ვმოჯამაგირეობდი კახეთში. 1926 წელს ალექსი თავის სურვილით შევიდა სსრ კავშირის წითელ არმიაში. წითელ არმიაში სამსახურის შემდეგ მან მუშაობა დაიწყო „დიზელდონსტროიში“ (ჩრდილოეთ-ოსეთი). იქ მან იმუშავა 2 წელს და ითვლებოდა მშენებლობის საუკეთესო დამკვრელად, რისთვისაც დაჯილდოებულ იქნა. 1930 წელს ალექსი საფრენოსნო სკოლაშია. იგი დიდი ხნიდან ოცნებობდა მფრინავი გამხდარიყო.

მისმა ოცნებამ ფრთა შეისხა. იგი გახდა შესანიშნავი მფრინავი. ფრონტიდან გამოგზავნილ წერილში იგი სწერდა:

„ჩემთვის ნუ სწუხარ, მე ცოცხალი ვარ და ჯანმრთელი. ჩემი სამშობლოს წინაშე ვიხდი ჩემს წმინდა მოვალეობას. ხოლო როგორ შევასრულებ მოვალეობას — ამას უჩემოდაც გაიგებ“.

მან პატიოსნად გაამართლა თავისი ხალხის ნდობა. 1940 წლის 15 იანვარს მთავრობამ იგი დააჯილდოვა „წითელი დროშის“ ორდენით, ხოლო ორი თვის შემდეგ ალექსის მიენიჭა საბჭოთა კავშირის გმირის სახელი და გადაეცა ლენინის ორდენი და „ოქროს ვარსკვლავის“ მედალი.

## თავდაცვა-ავიაქიმის XIV სრულიად-საკავშირო ლატარია

პროფკავშირთა სრულიად-საკავშირო ცენტრალური საბჭოს პრეზიდიუმის დადგენილება

პროფკავშირთა სრულიად-საკავშირო ცენტრალური საბჭოს პრეზიდიუმმა მიიღო დადგენილება, რომელიც ყველა პროფორგანიზაციას მოუწოდებს აქტიური დახმარება აღმოუჩინონ თავდაცვა-ავიაქიმის ორგანიზაციებს თავდაცვა-ავიაქიმის XIV სრულიად-საკავშირო ლატარიის ბილეთების გავრცელებაში.

ამ ლატარიით შეგროვებული სახსრები მოხმარდება იმას, რომ გაძლიერდეს საბჭოთა კავშირის მშრომელთა მომზადება სოციალისტური სამშობლოს დაცვისათვის.

ბილეთების გავრცელების ვადა დაწესებულია 1940 წლის 15 აპრილიდან 15 ივლისამდე.

ყველა ფაბქარხკომსა და კლუბის გამგეობებს წინადადება მიეცა მოაწყონ მოხსენებანი და საუბრები იმ ღონისძიებათა შესახებ, რომლებსაც თავდაცვა-ავიაქიმი ახორციელებს, რათა მშრომელნი მოამზადოს ჩვენი ქვეყნის თავდაცვისათვის.

თანახმად წევრთა საერთო კრების დადგენილებისა, ა. წ. 25/III-დან ხდება კოოპინკავშირის სისტემაში შემავალ არტელ

**„მასალამშენის“ ლიკვიდაცია.**

ყოველგვარი პრეტენზიები მიიღება ლიკვიდკომში ა. წ. 15 აპრილამდე. აღნიშნული რიცხვის შემდეგ არავითარი პრეტენზიები არ იქნება მიღებული. ლიკვიდკომის მისამართი: ქ. თბილისი, ბელინსკის ქ. № 11.

5835 **ლიკვიდკომი.**

თანახმად ზემდგომი ორგანოების დადგენილებისა, ხდება „ვსეგრუზოგის“ ღვინის წარმოების **ლიკვიდაცია.**

ყოველგვარი პრეტენზიები მიიღება ა. წ. 15 აპრილამდე, რის შემდეგ არავითარი პრეტენზიები მიღებული არ იქნება.

ლიკვიდკომი იმყოფება კალინინის ქუჩა № 14.

5441 **ლიკვიდკომი.**

**დაკარგულია** არტელ „ტრანსპორტგრუზის“ წნორის-წყლის განყოფილების მრგვალი ბეჭედი. ჩ. გ. 5803.

**დაკარგულია** — არტელ „ტრანსპორტგრუზის“ ჩარაგოულის განყოფილების შტამპი. ჩ. გ. 5840

შვილები ალფეზ, ერმალო, თეოფილე, ტერეზი, რძლები სონია, თამარ, ქეთო იუწყებიან

**ელისაბედ ბურჭულაძის**

გარდაცვალებას. პანაშვიდი 8/IV 7 ს. გამოსვენება 9/IV 4½ ს. პლეხანოვის, 108. 5924

სოფიო ბენდიაშვილი შვილებით სერგოთი, მაროთი, ქეთოთი და მიშათი, სიძეებით კ. დიდებულიძით და ვ. ხომერიკით, რძლით ვერათი იუწყება

**ნიკოლოზ (კოლია) პავლეს-ძე სირაძის**

გარდაცვალებას. დაკრძალვა ახალდაბაში. 5931

მე-29 სკოლის დირექცია, მასწავლებლობა და ტექნიკური პერსონალი იუწყებიან ამავე სკოლის მასწავლებელ ინჟინერ-ტექნიკოსის

**ლუკა ლუკას**

გარდაცვალებას.

საქართველოს ჩაის საბჭოთა მეურნეობების ტრესტის დირექცია თანაგრძნობას უცხადებს ჯოყოჯიანის ჩაის საბჭოთა მეურნეობის დირექტორს ამხ. ვალოდია დგებუაძეს მისი ძმის

**შალვა დგებუაძის**

გარდაცვალების გამო. 5928

კ. ფანცულაია, ბ. ჩიქოვანი, ი. შახრამანოვი, ს. პაპიანი, ბ. დოლიძე, ვ. ბეჭვაია, ა. მუმლაძე, ვ. ჯაში, ვ. ლომაძე, შ. ფარულავა, პ. გულუა, ი. მირცხულავა იუწყებიან საუკეთესო მეგ